



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #157/18¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

მარიამ ბეკოშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში მიმდინარეობს ორი დავა, სადაც ერთ საქმეში თავად არის მოსარჩელე, ხოლო მეორე დავაში მოსარჩელეა მისი მეუღლე. ორივე დავაში მოპასუხე მხარეების ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი მ. ბ. ადვოკატი ყურადღებას ამახვილებს მის ეროვნებაზე, ვინაიდან ის და მისი მეუღლე არიან ებრაელები და ცდილობს ეროვნების ნიშნით მათ დამცირებას. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მ. ბ.-ს შეხვდა ორ სასამართლო პროცესზე და ორივე სხდომაზე ადვოკატმა მიაყენა შეურაცხყოფა მას. ადვოკატმა მ. ბ.-მ ადვოკატ ნ. გ.-ს მიმართა, რომ ის იცავს თაღლითებს და თავადაც ასეთივე თაღლითია. ნ. გ.-მ მ. ბ.-ს კორექტულობისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ მართებდა ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვა. რის შემდეგაც, მ. ბ.-მ თავი იმართლა და უთხრა, რომ წინამდებარე სიტყვები მისი კლიენტის მიმართ წარმოთქვა, რომ საჩივრის ავტორი და მისი მეუღლე არიან თაღლითები, რასაც მოჰყვა შემდეგი ფრაზები: „...ჩამოდიან და აქ თავიანთი ზეგავლენით უნდათ წესრიგი დაამყარონ“; „...ჩამოეთრევით და თქვენბური წესრიგი გინდათ შეიტანოთ“. ადვოკატი, მ. ბ. უარყოფს შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და ასევე აღნიშნავს, რომ მას არასდროს გაუმახვილებია ყურადღება საჩივრის ავტორის ეროვნებაზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის წინააღმდეგ კომისიას საჩივრით მიმართა პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), აპკ-ის 9.4 მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დგინდებოდა სადავო ფაქტები. მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს. საჩივრის ავტორის შუამდგომლობით ეთიკის კომისიამ გამოითხოვა ვიდეო გადაღების ჩანაწერი, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ „სასამართლოს შენობაში განთავსებული სამეთვალყურეო კამერებით ჩაწერა ხორციელდება წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხოლო ეთიკის კომისიის მიერ მოთხოვნილი ვიდეო გადაღების ჩანაწერი არ წარმოადგენს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მასალას.“ ხოლო, მხარეთა და მათი მოწმეების პოზიციები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანმა მხარემ ვერ მოახერხა სადავო ფაქტების დამტკიცება.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დადგენილად არ მიიჩნია ადვოკატის მიერ მოსარჩელისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი და საჩივარი არ იძლეოდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

¹ <https://gba.ge/pdf/5d2d98cc4eaa5.pdf/157.18%2018.02.2019%20ar%20agdzvra.pdf>